ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და ვლეხთა მთავრობისა.

1929 წლის დეკემბრის 16.	№ 23 ვანყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 218. საწარმოთა შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანის შესახებ.

„ 219. „ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის მოსაწესრიგებლად საჭირო საძიებლო, საკვლევო და საპროექტო მასალების ინვენტარიზაციის წარმოების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის აპრილის 18-ის დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

„ 220. ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და ყამირგზების გამგებელ ადგილობრივ ორგანოთა და საამიერკავკასიო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და შერეულ სააქციო საზოგადოებათა შორის ამ უკანასკნელთა საგზაო მშენებლობის ხარჯში მონაწილეობის საკითხის გამო აღძრული შეუთანხმებლობის გადაწყვეტის წესის შესახებ.

„ 221. „ა/კსფსრ ტერიტორიაზე ელექტრონის მრიცხველთა შემოწმებისა და დადაღვის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. იანვრის 27-ის დადგენილების მე-4 მუხლის დამატების შესახებ.

„ 222. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „დაზღვეულთათვის სამედიცინო დახმარების საქმის ორგანიზაციის თაობაზე“ 1928 წლის თებერვლის 9-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის შეცვლის შესახებ.

„ 223. იმ სააქციო საკრედიტო დაწესებულებათათვის, რომელთაც გამგეობა ა/კსფსრ ტერიტორიაზე ჰყავთ, თავიანთი აქციების გამოსყიდვის ნებართვის მიცემის წესის შესახებ.

„ 224. კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრებისათვის საკანონმდებლო ორგანოებში კანონპროექტების უშუალოდ შეტანის უფლების მინიჭების შესახებ.

„ 225. ა/კსფსრ-ის ადგილობრივი ფინანსების დებულების 79 მუხლის შეცვლის შესახებ.

„ 226. დებულება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახალხო კვების დამხმარე კომიტეტის შესახებ.

„ 227. შრომის არტელების შესახებ.

„ 228. სამედიცინო-სასანიტარო დაწესებულებათა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანის შესახებ.

„ 229. ა/კსფსრ ტერიტორიაზე 1929-30 წ. წვრილი მრეწველობის (შინა-მრეწველობის და ხელოსნური მრეწველობის) აღწერის შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის მთავრობის კომისიისა

218. საწარმოთა შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანისათვის

1929 წ. ნოემბრის 25.

თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის ოქტომბრის 13-ის დადგენილებისა „შვიდსაათიანი სამუშო დღის თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-10 მუხლის შეცვლის შესახებ“—საწარმოთა შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადამყვანი ამიერკავკასიის მთავრობის კომისია ადგენს:

1. რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის იმ საწარმოთა 1-ლი №-რის სიაში, რომელნიც შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანილ უნდა იქნენ 1929-30 წლის პირველ ნახევარწლედში,—შეტანილ იქნენ შემდეგი საწარმონი:

I. საფეიქრო მრეწველობა: ლენინის სახელობის ბამბეულის ფაბრიკა (აზერბაიჯანის საფეიქრო მრეწველობისა, ბაქო).

II. აბრეშუმის დამმუშავებელი მრეწველობა: აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა (საქართველოს აბრეშუმის ტრესტისა, ხონი).

III. საკერი მრეწველობა: სააქციო საზოგადოება „მკერავი“-ს 1-ლი №-ის საკერი ფაბრიკა (ტფილისი), აზერბაიჯანის საფეიქრო მრეწველობის ცხვრის ტყავისა და ბეწვეულის მე-2 №-ის ფაბრიკა (ბაქო).

IV. ქიმიური მრეწველობა: ბაქოს ქიმიურ-ტყავეული ტრესტის ქიმიური ქარხანა (ბაქო), აზერბაიჯანის სამთო-ქიმიური ტრესტის ბარიტის ქარხანა (ჩოვდარი).

V. ტყავის მრეწველობა: საქართველოს ტყავის ტრესტის 1-ლი №-ის ტყავის ქარხანა (ტფილისი).

VI. პოლიგრაფიული მრეწველობა: გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა (ტფილისი), სომხეთის პოლიგრაფიული მრეწველობის ტრესტის სტამბა (ერივანი).

VII. გემო-კვების მრეწველობა: ტრესტ „არარატი“-ს არყისა და კონიაკის ქარხანა (ერევანი), 1-ლი №-ის სპირტისა და კონიაკის ქარხანა—საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა (ტფილისი), ბორჯომის მინერალური წყლების ქარხანა, ნახშირმჟავის ქარხანა და მინის ქარხანა (საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატისა, ბორჯომი), საბოჭკე ქარხანა—აზერბაიჯანის თევზის მრეწველობის ტრესტისა (ბაქო).

VIII. საშენი მასალა: ხე-ტყის სახერხი ქარხანა—საქართველოს სატყეო ტრესტისა (მცხეთა), კრამიტის ქარხანა—ტფილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებისა (ქსანი).

IX. ელექტროსადგურები: ერევნის საბჭოს ჰიდრო-ელექტრონის სადგური (ერივანი).

2. ამ სიაში შეტანილი ყველა საწარმო ვალდებულია სამი დღის განმავლობაში, შვიდსაათიან სამუშაო დღეზე ფაქტიურად გადასვლის შემდეგ, წარუდგინოს ამიერკავკასიის მთავრობის კომისიას (ტფილისი, ამიერკავკასიის შრომის სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისარიატი) დადასტურება შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადასვლის შესახებ— განსაკუთრებული ფორმით, რასაც ამიერკავკასიის მთავრობის კომისია დაუგზავნის სიაში აღნიშნულ საწარმოთ. დადასტურების ასლს ხსენებული საწარმონი გაუგზავნიან სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ მთავრობის კომისიას (მოსკოვი, სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატი.

შვიდსაათიანი სამუშაო დღის განხორციელების
მომმზადებელი ამიერკავკასიის მთავრობის
კომისიის თავმჯდომარე **იაშვილი.**

პასუხისმგებელი მდივანი **მელიქ-შახნაზაროვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 278 №-ში 1929 წ. დეკემბრის 4-ს.

დადგენილება № 190 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

219. „ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის მოსაწესრიგებლად საჭირო საძიებლო, საკვლევო და საპროექტო მასალების ინვენტარიზაციის წარმოების თაობაზე" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის აპრილის 18-ის დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის მოსაწესრიგებლად საჭირო საძიებლო, საკვლევო და საპროექტო მასალების ინვენტარიზაციის წარმოების შესახებ" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის აპრილის 18-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-8 №-რი, მუხ. 74) მე-2 მუხლის შესაცვლელად და ამავე დადგენილების დასამატებლად:

1. განგრძობილ იქნეს 4 თვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებით დაწესებული ვადა იმ სამუშაოთა დასრულებისა, რაც ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაკისრებული აქვს ყველა საძიებლო, საკვლევო და საპროექტო მასალების ინვენტარიზაციისა და სამეცნიერო-სატეხნიკო შეფასებისათვის.

2. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოებს მიიღონ ყველა შესაძლებელი ღონისძიება, რათა აზერბაიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველომ და საქართველოს წყალთა მეურნეო-

ბის სამმართველომ რაც შეიძლება ჩქარა შეასრულონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის აპრილის 18-ის დადგენილება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

1929 წ. ოქტომბრის 21. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 191 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

220. ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და ყამირგზების გამგებელ ადგილობრივ ორგანოთა და საამიერკავკასიო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და შერეულ სააქციო საზოგადოებათა შორის ამ უკანასკნელთა საგზაო მშენებლობის ხარჯში მონაწილეობის საკითხის გამო აღძრული შეუთანხმებლობის გადაწყვეტის წესის შესახებ.

„ადგილობრავი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა, რემონტისა და შენახვის ხარჯში სახელმწიფო, კოოპერატიული და შერეული სააქციო საზოგადოებების კუთვნილ საწარმოთა მონაწილეობის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის აგვისტოს 7-ის დადგენილების (სსრ კავშირის კან. კრ. 1929 წ. 50 №-რი, მუხ. 437) საფუძველზე—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ადგილობრივი გზატკეცილებისა და ყამირგზების გამგებელ ორგანოთა და საამიერკავკასიო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო, კოოპერატიული და შერეული სააქციო საზოგადოებების კუთვნილ საწარმოთა შორის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა, რემონტისა და შენახვის ხარჯში მონაწილეობისა, ამ მონაწილეობის სახისა და რაოდენობის საკითხის გამო აღძრული შეუთანხმებლობა გადაწყდება:

ა) აღნიშნულ ადგილობრივ ორგანოთა და საამიერკავვასიო მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის და აგრეთვე იმავე ორგანოთა და ადგილობრივი მნიშვნელობის იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის, რომელნიც ექვემდებარებიან არა იმ რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებს თუ აღმასრულებელ კომიტეტებს, რომელთა ტერიტორიაზედაც არის ის გზები, რა გზების მშენებლობისა, რემონტისა და შენახვის ხარჯში ამ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ,—ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) იმავე ადგილობრივ ორგანოთა და რესპუბლიკანურ მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის და აგრეთვე რესპუბლიკის ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის, რომელნიც ამასთანავე არ ექვემდებარებიან იმავე ადგილობრივ საბჭოს ან ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის გამგებლობაშიაც გზა არის,—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური თათბირების (საბჭოების) მიერ.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს მისცენ, ქვემდებარეობისამებრ, სახელმძღვანელოდ სათანადო ინსტრუქცია „ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა, რემონტისა და შენახვის ხარჯში სახელმწიფო, კოოპერატიული და შერეული სააქციო საზოგადოებების კუთვნილ საწარმოთა მონაწილეობის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის აგვისტოს 7-ის დადგენილების შესაფარდებლად, რომელი ინსტრუქციაც გამოიცემა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს აღნიშნული დადგენილების მე-3 მუხლის საფუძველზე.

3. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მიიღონ სათანადო ღონისძიება, რათა ზემოხსენებულ დადგენილებებსა და ინსტრუქციაში აღნიშნული ღონისძიებანი განხორციელებულ იქნეს 1929-30 წელს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

1929 წ. დეკემბრის 7. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 192 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

221. **„ა/კსფსრ ტერიტორიაზე ელექტრონის მრიცხველთა შემოწმებისა და დადაღვის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის იანვრის 27-ის დადგენილების მე-4 მუხლის დამატების შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ ტერიტორიაზე ელექტრონის მრიცხველთა შემოწმებისა და დადაღვის შესახებ“ 1927 წლის იანვრის

27-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-3 №-რი, მუხ. 34) მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნები:

„**შენიშვნა 1.** ელექტრონის მრიცხველის სავალდებულო შემოწმების დროს მრიცხველის აღება და დადგმა მოხდება ელექტრონის ენერგიის მიმწოდებლის ძალითა და ხარჯით“.

„**შენიშვნა 2.** აბონენტის ინიციატივით ელექტრონის მრიცხველის შემოწმების დროს მრიცხველის აღება და დადგმა მოხდება ელექტრონის ენერგიის მიმწოდებელის აგენტების მიერ აბონენტის ხარჯით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მრიცხველი დანახარჯ ენერგიას სწორედ არ აჩვენებს“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

1929 წ. დეკემბრის 7. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 193 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

222. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „დაზღვეულთათვის სამკურნალო დახმარების მოწყობის თაობაზე“ 1928 წ. თებერვლის 9-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„დაზღვეულთათვის სამკურნალო დახმარების მოწყობის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის თებერვლის 9-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-5 №-რი, მუხ. 44) მე-5 მუხლის მე-2 აბზაცი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„დაზღვეულთათვის სამკურნალო დახმარების რესპუბლიკანური ფონდების სახსარი დაიხარჯება იმ გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების თანახმად, რასაც შეადგენენ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები და განიხილავენ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებთან არსებული ცენტრალური რესპუბლიკანური საბიუჯეტო კომისიები; ამ კომისიების შედგენილობაში შედიან: ჯანმრფელობის სახალხო კომისარიატის ერთი წარმომადგენელი (თავმჯდომარე), პროფესიონალურ კავშირთა რესპუბლიკანური საბჭოს ორი წარმომადგენელი და თითო წარ-

მომადგენელი ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანური ორგანოსი".

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ნ. ნიკოლსკი.**

1929 წ. დეკემბრის 7. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

223. იმ სააქციო საკრედიტო დაწესებულებათათვის, რომელთაც გამგეობა ა/კსფსრ ტერიტორიაზე ჰყავთ, თავიანთი აქციების გამოსყიდვის ნებართვის მიცემის წესის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სააქციო საზოგადოებათა დებულების (სსრ კავშირის კან. კრ. 1927 წლის 39 №-რი, მუხ. 500 და 1929 წ. 70 №-რი, მუხ. 656) 53 მუხლის შენიშვნაში გათვალისწინებული ნებართვა თავისი აქციების გამოსყიდვისა—სააქციო საკრედიტო დაწესებულებას, რომელსაც გამგეობა ა/კსფსრ ტერიტორიაზე ჰყავს, მიეცემა ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების მიერ, კუთვნილებისამებრ, იმისდამიხედვით, თუ ვინ ამტკიცებს აღნიშნული საკრედიტო დაწესებულების წესდებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური ამაღსრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. დნკემბრის 9. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

224. კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრებისათვის საკანონმდებლო ორგანოებში კანონპროექტების უშუალოდ შეტანის უფლების მინიჭების შესახებ.

ამაერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. უფლება მიეცეს კოლექტიურ მეურნეობათა ამიერკავკასიის საბჭოს—კანონპროექტები კოლექტიურ-სამეურნეო მშენებლობის ყველა საკითხის შესახებ შეიტანოს უშუალოდ ა/კსფსრ საკანონმდებლო ორგანოებში.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებს—მიანიჭონ უფლება კოლექტიურ მეურნეობათა რესპუბლიკანურ ცენტრებს, რათა მათ კანონპროექტები შეიტანონ უშუალოდ სათანადო რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოებში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. დეკემბრის 9. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

225. ა/კსფსრ-ის ადგილობრივი ფინანსების დებულების 79 მუხლის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ა/კსფსრ-ის ადგილობრივი ფინანსების დებულების“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697 და 1928 წ. 22 №-რი, მუხ. 264) 79 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მუხ. 79. საგზაო ფონდები დაიყოფა რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ფონდებად და მათი მიზანია ადგილობრივი საგზაო მეურნეობის დაფინანსება.

აღნიშნული ფონდების შექმნისა და დახარჯვის წესი განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით; ამასთანავე, რესპუბლიკანურ საგზაო ფონდში მიიქცევა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ტერიტორიაზე რკინისგზითა და წყალსავალი გზით შემოზიდული და გაზიდული ტვირთის ადგილობრივი გადასახადის მთელი შემოსავლის არა ნაკლებ 25 პროცენტისა და აგრეთვე რესპუბლიკანური სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სპეციალური ასიგნები“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. დეკემბრის 9. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

226. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახალხო კვების დამხმარე კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახალხო კვების დამხმარე კომიტეტის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. დეკემბრის 9. ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახალხო კვების დამხმარე კომიტეტის შესახებ.

1. ა/კსფსრ ტერიტორიაზე სახალხო კვების საქმის გეგმიანი წარმოებისა და მისთვის საერთო ხელმძღვანელობის გაწევის მიზნით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მოეწყობა სახალხო კვების დამხმარე კომიტეტი.

2. სახალხო კვების დამხმარე კომიტეტის მიზანია:

ა) ხელი შეუწყოს სახსარის შოვნას საზოგადოებრივი კვების საქმისათვის, კერძოდ, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მშენებლობისათვის;

ბ) იხმაროს სათანადო ღონისძიებანი, რათა მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის სახსარიდან რაც შეიძლება მეტი ანარიცხი იქნეს გადადებული საზოგადოებრივი კვების საქმისათვის;

გ) თვალყური ადევნოს, რათა ა/კსფსრ-ში საზოგადოებრივი კვების საქმის განსავითარებლად მიღებული სახსარი სისწორით იქნეს გამოყენებული;

დ) მისცეს დირექტივები სახალხო კვების დამხმარე რესპუბლიკანურ ორგანოებს სამრეწველო მშენებლობისა და დასასახლებელი ადგილების მშენებლობის გეგმების განხილვისა და დამტკიცების დროს სახარჯთაღრიცხვო განზრახულებაში სასადილოების მოწყობის ხარჯის შეტანის საკითხების შესახებ, აგრეთვე საზოგადოებრივი კვების გეგმების დამუშავებისა და მუშათა სასადილოებისა, ფაბრიკა-სამზარეულოებისა და სხვა დაწესებულებების მშენენებლობის განხორციელების შესახებ;

ე) დაამუშაოს საზოგადოებრივი კვების საქმის რაციონალურად დაყენებასთან დაკავშირებული საკითხები და მისცეს დირექტივები მათი პრაქტიკულად განხორციელების შესახებ სახალხო კვების დამხმარე რესპუბლიკანურ ორგანოებს;

ვ) აწარმოოს პროპაგანდა საზოგადოებრივი კვების მნიშვნელობის შესახებ, გაავრცელოს ხალხში სამეცნიერო კვლევის ღონისძიებანი სახალხო კვების სფეროში და რაციონალურად დააყენოს საზოგადოებრივი კვების საქმე;

ზ) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს საზოგაოოებრივი კვების მშენებლობის საქმეში საზოგადოებრივი ინიციატივისა და თვითმოქმედების ორგანიზაციას.

3. სახალხო კვების დამხმარე კომიტეტის შედგენილობაში შედიან: თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, საპაიო ამხანაგობის „სახალხო კვება"-ს რწმუნებული და თითო წარმომადგენელი შემდეგი ორგანიზაციებისა, ვისაც ეს ორგანიზაციები დანიშნავენ: ა) ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა, ბ) ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, გ) ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, დ) ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, ე) პროფესიონალურ კავშირთა ამიერკავკასიის საბჭოსი, ვ) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა—რესპუბლიკების ჯანმრთელობის

სახალხო კომისარიატების შეთანხმებით, ზ) სრულიად საკავშირო კომუნისტური (ბ) პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებისა, თ) სრულიად საკავშირო ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის საოლქო კომიტეტისა, ი) ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირისა, კ) ამიერკავკასიის მუშათა სექციისა, ლ) ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირთა კავშირისა, მ) ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოსი.

შენიშვნა 1. დამხმარე კომიტეტი აარჩევს თავისი წრიდან თავმჯდომარის მოადგილეს.

შენიშვნა 2. კომიტეტი თავისი შედგენილობიდან გამოჰყოფს პრეზიდიუმს ხუთი წევრისაგან, მათ შორის კომიტეტის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და საპაიო ამხანაგობის „სახალხო კვება"-ს რწმუნებულს.

4. კომიტეტს აქვს იურიდიული პირის უფლებანი, აგრეთვე აქვს თავისი ბეჭედი ა/კსფსრ-ის ღერბის გამოხატულებით და თავისი სახელწოდების წარწერით.

5. სახალხო კვების დამხმარე კომიტეტი პერიოდულად მოისმენს ხოლმე საპაიო ამხანაგობის „სახალხო კვება"-ს რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) მოხსენებას ა/კსფსრ-ის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი კვების საქმის მდგომარეობის შესახებ.

6. სახალხო კვების დამხმარე კომიტეტი გამოიყენებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს აპარატს.

7. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში მოეწყობა სახალხო კვების დამხმარე ანალოგიური ორგანოები.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსი.

227. შრომის არტელების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შრომის არტელად ჩაითვლება მოქალაქეთა შენაერთი, რომლის მიზანიც არის თავის წევრთა პირადი ფიზიკური თუ ინტელექტუალური შრომით სხვის საწარმოში ან მეურნეობაში სამუშაოთა ერთად შესრულების ორგანიზაცია.

2. შრომის არტელის წევრად შეიძლება იყოს ის პირი, რომელსაც 18 წელი შესრულებია და საარჩევნო უფლება აქვს.

შენიშვნა 1. საარჩევნო უფლება-ჩამორთმეული შეიძლება იყოს არტელის წევრად, უკეთუ იგი ხუთი წელიწადი მაინც ეწეოდა ნაყოფიერ და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას.

შენიშვნა 2. მოზარდი—16 წლიდან 18 წლამდე—შეიძლება იყოს არტელის წევრად, უკეთუ იგი ჴუშა-მოსამსახურის შვილია.

3. შრომის არტელში გაერთიანებულ პირთა რიცხვი უნდა იყოს არა ნაკლებ შვიდი პირისა, რომელთაც 18 წელი შეუსრულდათ.

4. შრომის არტელს უფლება აქვს შეასრულოს სამუშაო ნარდადაც, უკეთუ ნარდი სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მასალის ფასი ხუთი ათას მანეთს არ აღემატება.

5. შრომის არტელი მოეწყობა წარმოებით ერთნაირ ან წარმოებით ერთმანეთთან დაკავშირებულ სამუშაოთა შესასრულებლად და იგი იკისრებს თავისი ძირითადი სპეციალობის სამუშაოს შესრულებას.

6. ნაკისრ სამუშაოს შრომის არტელი შეასრულებს თავის წევრთა პირადი შრომით. არტელის მომსახურეობისათვის საჭირო სამუშაოს შესასრულებლად, როგორიც არის: საკანცელარიო მუშაობა, სპეციალური ტეხნიკური საკითხების დამუშავება და სხვ.,—შრომის არტელს შეუძლიან მიიწვიოს სამსახურში გარეშე პირები, ხოლო იმ პირობით, რომ დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი მთლად არტელის წევრთა შედგენილობის ათ პროცენტს არ აღემატებოდეს.

7. ერთსა და იმავე დროს ორი ერთი და იმავე სახის შრომის ან სხვადასხვა სახის შრომის არტელის წევრად ყოფნა აკრძალულია.

8. ამა დადგენილებაში განსაზღვრული წესით (მუხ. 13, 14 და 15) რეგისტრირებულ შრომის არტელს აქვს იურიდიული პირის უფლებანი, მათ შორის—სამუშაოს მისაღებად საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლებაც,—და შეუძლიან შეასრულოს მხოლოდ ისეთი მოქმედება, რაც საჭიროა ამა დადგენილებით და არტელის წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

9. შრომის არტელის სახსარს შეადგენს: ა) შესასვლელი გადასახადი, ბ) პაები, გ) არტელის მუშაობით მიღებული თანხის ანარიცხი, დ) საკრედიტო დაწესებულებებიდან სესხად მიღებული სახსარი და აგრეთვე სახელმწიფო დაკრედიტების წესით მიღებული სახსარი და ე) სხვა შემოსავალი.

10. შრომის არტელზე გავრცელდება ის საგადასახადო შეღავათი, რაც სათანადო დადგენილებებით დაწესებულია სარეწაო კოოპერაციისათვის.

11. შრომის არტელის მმართველობის ორგანოებია: საერთო კრება და გამგეობა. შრომის არტელის გამგეობის წევრად არ შეიძლება იყვნენ მე-2 მუხლის შენიშვნებში აღნიშნული პირნი.

შენიშვნა. შრომის არტელის საერთო კრების დადგენილებით, საქმეების მმართვა-გამგებლობა შეიძლება დაეკისროს ერთ პირს (მამასახლისს), რომელიც გამგეობის ფუნქციებს შეასრულებს.

12. შრომის არტელის მოქმედების რაიონი, არტელში წევრად შესვლისა და გამოსვლის წესი, არტელისათვის ამა დადგენილების მე-8 მუხლის თანახმად მინიჭებული უფლებანი, არტელის ვალდებულებათათვის წევრთა პასუხისმგებლობის წესი და ფარგლები, საერთო კრების ფუნქციები, მმართველობისა და რევიზიის ორგანოების შედგენილობა, მათი არჩევის წესი და კომპეტენცია, გამგეობის სამყოფელი ადგილი, არტელის საქმეების გამო ანგარიშგების წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოების სისტემა, საქმეების რევიზიის წესი და არტელის ლიკვიდაციის წესი—განისაზღვრება არტელის წესდებით ნორმალური წესდებისა და მომქმედი კანონების შესაბამისად.

13. შრომის არტელის დაარსება, მიუხედავად მისი მოქმედების რაიონისა, სწარმოებს არტელის წესდების რეგისტრაციით იმ ადგილას, სადაც იგი მოეწყო, ადგილობრივი მეურნეობის სათანადო ორგანოსთან არსებულ სარეგისტრაციო კომისიაში, ამა დადგენილების ქვემომდევნო მუხლებით გათვალისწინებული წესისამებრ. აღნიშნულ კომისიაში გადამწყვეტი ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებენ სათანადო განყოფილებისა და შრომის ინსპექციის წარმომადგენელნი.

შენიშვნა. ვიდრე წესდება სარეგისტრაციო კომისიაში განიხილებოდეს, ადგილობრივი მეურნეობის სათანადო ორგანო ერთ ცალ წესდებას გაუგზავნის შრომის სათანადო ორგანოს; ამ ორგანომ არა უგვიანეს ერთი კვირისა წესდების მიღების დღიდან, უნდა მისცეს დასკვნა—შეიძლება თუ არა წესდების რეგისტრაცია როგორც ფორმალურ მოსაზრებით, ისე უწყებული ადგილის შრომის ბაზრის მდგომარეობის მიხედვით.

14. უკეთუ შრომის ორგანოები ან უკეთუ ამ ორგანოების წარმომადგენელნი სარეგისტრაციო კომისიაში ვერ შეთანხმდნენ კომისიის დანარჩენ წევრებთან, წესდების რეგისტრაცია არ მოხდება და საქმე გადაეცემა განსახილველად სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს. პრეზიდიუმის გადაწყვეტილება საბოლოოა.

15. შრომის არტელის წესდების ცვლილებანი და დამატებანი მოხდება იმავე წესით, როგორც რეგისტრაცია.

16. როდესაც შრომის არტელს მიეცემა სამუშაო შრომითი ხელშეკრულობის (ქირავნობის ხელშეკრულობა) წესით, ურთიერთობა მხარეთა შორის (სამუშაოს მიმცემსა და არტელს შორის) განისაზღვრება შრომის ხელშეკრულობით; ამასთანავე, არტელს შეუძლიან დასდვას საერთო ხელშეკრულობა სამუშაოს შესრულების მთელი დროისათვის ამ სამუშაოს სასყიდლის მთლიანად გაღებით.

შენიშვნა. შრომის ხელშეკრულობის წესებით უნდა განისაზღვროს მხარეთა ურთიერთობა ყველა შემთხვევაში, როდესაც მუშაობა 50 პროცენტით მაინც გამქირავებლის მასალით სწარმოებს, უკეთუ, ამასთანავე, მუშაობაში გამოყენებულ არ იქნება არტელის კუთვნილი რთული გაწყობილობა.

17. შრომის ხელშეკრულობის პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო და აგრეთვე არტელის წევრთა შორის სამუშაოს განაწილების წესი დადგენილ უნდა იქნეს არტელთან დადებულ ხელშეკრულობაში—შრომის კანონთა კოდექსის სათანადო მუხლების წესების დაცვით.

18. ხელშეკრულობის მოშლის შემთხვევები და წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. უკეთუ შეთანხმება არ არსებობს, დამქირავებელი, რომელსაც სურს მოშალოს არაგანსაზღვრული ვადით დადებული ხელშეკრულობა, მოვალეა გააფრთ-

ხილოს ამის შესახებ არტელი სამი დღით ადრე ან მისცეს მას გასასვლელი დახმარება, რაც არტელის სამი დღის საშოვარს უნდა უდრიდეს. უკეთუ არაგანსაზღვრული ვადით დადებულ ხელშეკრულობას შრომის არტელი მოშლის, იგი მოვალეა გააფრთხილოს ამის შესახებ დამქირავებელი სამი დღით ადრე.

19. იმ სასყიდლის გამო, რაც შრომის არტელს დამქირავებლისაგან ერგება, ეს უკანასკნელი ანგარიშს გაასწორებს არტელის მმართველობის ორგანოსთან. სასყიდლის რაოდენობა და ფორმა და აგრეთვე მისი გადახდის ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ანგარიშის გასწორებას შრომის არტელის ცალკე წევრებთან სამუშაო ხელფასისა და ყოველგვარი სხვა მოთხოვნის გამო აწარმოებენ არტელის მმართველობის ორგანოები არტელის წესდებით გათვალისწინებული წესისამებრ.

20. იმ თანხის გადახდევინების დროს, რაც შრომის არტელს დამქირავებლისაგან ერგება, შრომის ხელშეკრულებაზე დამყარებული სასყიდელი შრომის არტელისა, სამოქალაქო სამართლის კოდექსის სათანადო მუხლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის სათანადო მუხლის შეფარდების წესით, გაეთანაბრება სამუშაო ხელფასის პრეტენზიას.

21. შრომის არტელი მოვალეა აუნაზღაუროს დამქირავებელს არტელის წევრების მიერ მუშაობის პროცესში მიყენებული ზიანი და აგრეთვე ის ზიანი, რაც დამქირავებელს მოუვა შრომის ხელშეკრულობის შეუსრულებლობის გამო, უკეთუ არსებობს სამოქალაქო სამართლის კოდექსის სათანადო მუხლში აღნიშნული პირობები.

ასანაზღაურები ზიანის რაოდენობას განსაზღვრავს სასამართლო, ხოლო იგი არ შეიძლება აღემატებოდეს იმ თანხის ნახევარს, რაც არტელს ხელშეკრულობის თანახმად ერგება.

22. შრომის ხელშეკრულობისათვის, რაც შრომის არტელთან დაიდება, შეფარდებულ უნდა იქნეს შრომის კანონთა კოდექსის სათანადო მუხლებისა და შრომის დარგში გამოცემული სპეციალურ დადგენილებათა წესები.

23. როდესაც შრომის არტელი მუშაობას ნარდად აწარმოებს, არტელის გამგეობამ ან მამასახლისმა უნდა შეასრულოს შრომის კანონთა კოდექსით დადგენილი შემდეგი მოვალეობა:

ა) უნდა დაიცვას დადგენილებანი უშიშროების ტეხნიკისა, სამრეწველო სანიტარიისა და ჰიგიენისა და აგრეთვე ქალთა და არასრულწლოვანთა შრომის დაცვის შესახებ;

ბ) უნდა გადაიხადოს სადასაზღვეო გადასახადი სამკურნალო დახმარებისათვის და უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევისათვის—იმ გასამრჯელოს რაოდენობის მიხედვით, რაც დანიშნულია არტელის წევრთა შრომის სასყიდლად.

24. შრომისა და სახალხო მეურნეობის ადგილობრივი ორგანოები ზედამხედველობას გაუწევენ შრომის არტელის მოქმედებას იმ მხრით, რათა ეს მოქმედება შეესაბამებოდეს მომქმედ კანონმდებლობას და არტელის იმ მიზნებს, რაც დადგენილია წესდებაში.

25. შრომის არტელი, სადაც აღმოჩენილი იქნება დაქირავებული შრომის გამოყენება ფარული ფორმით, ვალდებულია შეასრულოს სათანადო პირთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართ შრომის კანონთა კოდექსიდან და მის განსავითარებლად და დასამატებლად გამოცემულ კანონდებულებათაგან გამომდინარე ყველა მოვალეობა. ამის გარდა, გამგეობის წევრი და არტელის მიერ რწმუნებამოსილი სხვა პირი, რომელიც ამ სახით დაქირავებულ შრომას გამოიყენებს, მიიცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

26. შრომის არტელის ლიკვიდაცია მოხდება:

ა) არაშემძლეობის შემთხვევაში, რაც დადგენილ უნდა იქნეს სასამართლოს წესით;

ბ) წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ან სასამართლოს დადგენილებით იმ შემთხვევაში, უკეთუ არტელი გადაუხვევს წესდებით თუ ხელშეკრულობით გათვალისწინებულ მიზანს, ან უკეთუ არტელის ორგანოების (საერთო კრების, გამგეობის) მოქმედება სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგო მიმართულებას მიიღებს.

შენიშვნა. ლიკვიდაციის წესი ამა მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განისაზღვრება შრომის არტელების ნორმალური წესდებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. დეკემბრის 9. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 194 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

228. სამედიცინო-სასანიტარო დაწესებულებათა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანის შესახებ.

„სამედიცინო-სასანიტარო დაწესებულებათა განუწყვეტელ ხუთდღიან კვირაზე გადაყვანის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის ნოემბრის 25-ის დადგენილების („სსრ კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და სრ. რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის იზვესტია“-ს 276 №-რი 1929 წ. ნოემბრის 26-ისა) მიხედვით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

1. დააჩქარონ განუწყვეტელ ხუთდღიან კვირაზე გადაყვანა ქალაქებში, სამრეწველო რაიონებში და მუშებით დასახლებულ ცალკეულ ადგილებში სამედიცინო-სასანიტარო დაწესებულებებისა, რა დაწესებულებანიც მომსახურეობას უწევენ იმ სამრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა მომუშავეთ, რომელნიც უკვე გადასული არიან ან გადადიან განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე.

აღნიშნულ სამედიცინო-სასანიტარო დაწესებულებათა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანა უნდა მოხდეს არა უგვიანეს სათანადო დაწესებულებათა და საწარმოთა განუწყვეტელ კვირაზე გადაყვანისა.

2. განსაზღვრონ ნუსხა განუწყვეტელ კვირაზე გადასაყვანი სამედიცინო-სასანიტარო დაწესებულებებისა და აუცილებლად შეიტანონ ამ ნუსხაში შემდეგი სამედიცინო-სასანიტარო დაწესებულებანი: ამბულატორია, პოლიკლინიკა, პირველი დახმარებისა და შინ დახმარების პუნქტი, სანიტარული ზედამხედველობა, ბაგა, კონსულტაცია, სარძეო სამზარეულო, ლაბორატორია, აფთიაქი, დისპანსერი, ასაცრელი პუნქტი, სადეზინფექციო დაწესებულება, დღისით და ღამით მომუშავე სანატორიუმი.

3. მიანდონ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული—1929 წ. ნოემბრის 25-ის—დადგენილების საფუძველზე, განახორციელონ სამედიცინო-სასანიტარო დაწესებულებების განუწყვეტელ კვირაზე გადაყვანის დროს სარაციონალიზატორო ღონისძიებანი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მთელი საქმის გაუმჯობესებისათვის და სამედიცინო პერსონალის უფრო სრული და სათანადო გამოყენებისათვის.

4. გაითვალისწინონ თავიანთ ბიუჯეტებში სასანიტარო დაწესებულებათა განუწყვეტელ კვირაზე გადაყვანასთან დაკავშირებული საჭირო სახსარი—შტატების გასადიდებლად და დამატებითი ხარჯის დასაფარავად.

5. მიიღონ ღონისძიებანი სამედიცინო-სასანიტარო დარგის მომუშავეთა კადრების მომზადების გასაფართოებლად და დასაჩქარებლად და არსებული კადრის კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

6. წარუდგინონ, არა უგვიანეს 1930 წლის იანვრის 10-ისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ დაწესებულებათა და საწარმოთა განუწყვეტელ კვირაზე გადამყვან მთავრობის კომისიას მოხსენებანი ამა დადგენილების აღსრულების შედეგების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

1929 წ. დეკემბრის 9. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 287 №-ში 1929 წ. დეკემბრის 14-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

229. ა/კსფსრ ტერიტორიაზე 1929-30 წ. წვრილი მრეწველობის (შინა-მრეწველობის და ხელოსნური მრეწველობის) აღწერის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ჩატარებულ იქნეს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ტერიტორიაზე მიმდინარე საოპერაციო წლის დეკემბერ-თებერვლის განმავლობაში წვრილი მრეწველობის (შინა-მრეწველობის და ხელოსნური მრეწველობის) აღწერა.

2 აღწერის წარმოება დაეკისროს ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

3. დაევალოს ხელისუფლების ყველა ორგანოს აღმოუჩინოს ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და მის მიერ რწმუნებამოსილ პირთ (აღმწერ პერსონალს) ყოველგვარი დახმარება აღწერის წარმოების საქმეში.

4. იმ მიზნით, რათა აღწერის საქმე უზრუნველყოფილ იქნეს ხელმძღვანელი პერსონალის საჭირო შტატით, ნება მიეცეს ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით, მიიწვიოს აღწერაზე სამუშაოდ სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებში მომუშავე კვალიფიციური სტატისტიკოსები და სპეციალისტები და აგრეთვე მისცეს მიწვეულ პირთ, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში არიან, დამატებითი გასამრჯელო აღწერის საქმეში მუშაობისათვის მიუხედავად იმისა, თუ რა ხელფასს იღებენ ეს მომუშავენი თავიანთ თანამდებობაზე.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს: ა) მოახდინონ განკარგულება ყველა საქალაქო საბჭოს და საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის მიმართ, რათა მათ გამოსცენ დადგენილება, რომლის ძალითაც ყველა სახლის სამოურაოს და სახლის მფლობელს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში დაევალება შეადგინონ აღწერის დასაწყისისათვის, ხოლო არა უგვიანეს 1930 წ. იანვრის 1-ის, უწყებულ მფლობელობაში არსებულ წვრილ სამრეწველო საწარმოთა და აგრეთვე პირადი სარეწაო მოსაქმეობის მქონე მდგმურთა სიები—ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ მიწოდებული ფორმით, და წარუდგინონ ეს სიები აღმწერ პერსონალს უკანასკნელის მოთხოვნისამებრ; ბ) დაავალონ ყველა საოლქო (სამაზრო) და სარაიონო (ან მათ თანაბარ) აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე სასოფლო საბჭოებს—სოფლად აღწერის წარმოების დროს მისცენ აღმწერ პერსონალს უსასყიდლოდ ღამის გასათევი ბინა

საერთო საცხოვრებელში, ქოხ-სამკითხველოს და აღმასრულებელი კომიტეტის სადგომებში და აგრეთვე—მიმოსვლის საშუალება შეღავათინი პირობით.

6. დაევალოს ყველა შინა-მრეწველს, ხელოსანს და წვრილ სამრეწველო საწარმოს მფლობელს—მიაწოდოს აღმწერ პერსონალს საჭირო ზედმიწევნითი ცნობები, რასაც ეს პერსონალი აღწერის პროგრამის თანახმად მოითხოვს. ის, ვინც ცნობების მიცემას თავს აარიდებს,—პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლებისამებრ.

7. ამა დადგენილების აღსასრულებლად და განსავითარებლად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები გამოსცემენ სათანადო დადგენილებებს, ხოლო ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო—საჭირო ინსტრუქციებსა და განკარგულებებს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულ. კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. დეკემბრის 12. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 287 №-ში 1929 წ. დეკემბრის 14-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.
მთავლ. № 287. ტირაჟი № 850.